

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო 2013 წლის ანგარიში

I. განხორციელებული რეფორმები

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფორმირება

2013 წლის 1 მაისსა და 4 ოქტომბერს ცვლილებები შევიდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში. აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, 1) საბჭოს 8 მოსამართლე წევრი აირჩევა მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ნებისმიერი მოსამართლის წარდგინებით. ასევე, მოცემული რვა წევრიდან მხოლოდ სამი შეიძლება იყოს სასამართლოს, პალატის ან კოლეგიის თავმჯდომარე ან მოადგილე; 2) პრეზიდენტს კვლავ მიენიჭა საბჭოს ერთი წევრის დანიშვნის უფლებამოსილება; 3) საბჭოს დანარჩენ 5 წევრს კი ირჩევს პარლამენტი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარდგენილ აკადამიურ მოღვაწეთა ან იურიდიული პრაქტიკის მქონე პირთა წრიდან.

მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის წესი

2013 წლის შემოდგომაზე, საქართველოს პარლამენტმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის გზით, დაადგინა მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნის წესი. აღნიშნული წესი ითვალისწინებს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნას სამ წლიანი გამოსაცდელი ვადით და შემდგომ მის უვადოდ განწესებას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის უვადოდ დანიშვნის საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ სამი წლის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლის საქმიანობის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით.

პარალელურად, გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებით და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შიდა პოტენციური საფრთხეების შესახებ საერთაშორისო დამოკიდებულების მხედველობაში მიღებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით შემუშავდა ალტერნატიული კანონპროექტი, რომელსაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი შესაბამისობაში მოჰყავს კონსტიტუციის მოთხოვნასთან, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის თაობაზე ყოველგვარი გამოსაცდელი ვადისა და შემდგომში მონიტორინგის ჩატარების გარეშე. პროექტი განსახილველად უკვე გადაეგზავნა როგორც საქართველოს მთავრობას, ასევე პარლამენტს.

მოსამართლეთა შრომის ანაზღაურება

„საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, გაიზარდა მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების ოდენობა. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის ხელფასი განისაზღვრა 4000 ლარის ოდენობით; სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ხელფასი - 5000 ლარის ოდენობით; ხოლო უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასი 6000 ლარის ოდენობით.

საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამისა და წესის შემუშავება/მოსამართლეთათვის და სასამართლო სისტემის თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარება კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით

2013 წლის 6 დეკემბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „საერთო სასამართლოებში ელექტრონული საქმისწარმოების ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ.“ აღნიშნული წესი ითვალისწინებს სარჩელის ან განცხადების შეტანას ელექტრონული პროგრამის

მეშვეობით, მათ პირველად დამუშავებას, რეგისტრაციაში გატარებას და მოსამართლეებზე განაწილებას.

საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამა მოქმედებს ყველა პირველი ინსტანციის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების ჩართვა დაგეგმილია 2014 წლისათვის.

სასამართლოების ერთიან კომპიუტერულ სისტემაში ჩართულია 67 სასამართლო (24 გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო და 43 მაგისტრი). 2013 წელს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემასთან დაკავშირებით ჩატარებული იქნა 4 ტრენინგი, რომლის გავლაც ყველა მოსამართლემ შეძლო.

შემენილ იქნა 400 ცალი ახალი პერსონალური კომპიუტერი.

სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გაშუქება

სასამართლოს საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, 2013 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს დაემატა 13¹ მუხლი, რომლის თანახმადაც სასამართლო ვალდებულია, უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა და მოთხოვნისთანავე, უზრუნველყოს შესაბამისი ჩანაწერების მხარეებისათვის ხელმისაწვდომობა.

II. საკანონმდებლო სიახლეები

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული სხვა ცვლილებები:

2012 წლის ცვლილებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანამდებობა ხელმისაწვდომია მხოლოდ მოსამართლისათვის, რომელიც არჩეულია მოსამართლეთა კონფერენციის მიერ (მუხლი 51(1)), თუმცა აღნიშნულ მუხლში ცვლილება 2013 წელსაც შევიდა, რომლის თანახმად, მდივნის თანამდებობის ხელმისაწვდომობა შეეზღუდა სასამართლოს, პალატის ან კოლეგიის თავმჯდომარეს და მოადგილეს.

გარდა ამისა, შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების და საკითხის გადაწყვეტის წესი. ცვლილებები შეეხო მოსამართლეთა კონფერენციის საქმიანობასაც. ცვლილებები შევიდა ნორმაში, რომელიც შეიცავს რეზერვის მოსამართლეთა შესახებ რეგულირებას. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხთა ჩამონათვალს დაემატა იურიდიული დახმარების საბჭოში არამოსამართლე წევრის არჩევის უფლებამოსილება.

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

დაწესდა თანამდებობრივი შეზღუდვა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობის დასაკავებლად. შეიცვალა დამოუკიდებელი საბჭოს არამოსამართლე წევრის არჩევის წესიც.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა ახალი ნორმა, რომელიც შეიცავს სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების წესს. ამასთან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დაევალია თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობის წესის განსაზღვრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განსახილველი სისხლის სამართლის საქმეებზე.

2013 წლის იანვრიდან ამოქმედდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი, რომლის მიხედვითაც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით პირველი ინსტანციის წესით

თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოები ტერიტორიული განსჯადობით, 2014 წლის 1 ოქტომბრამდე განიხილავენ შემდეგი კატეგორიის საქმეებს:

ა) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირისა, რომელსაც ეკავა ან უკავია შესაბამისი თანამდებობა;

ბ) პირისა, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში ამ ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირთან ერთად.

III. საკადრო ცვლილებები და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად; მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდის ელექტრონული პროგრამა

2013 წლის თებერვალი-მარტის თვეში ჩატარდა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სადაც დარეგისტრირდა 180 კანდიდატი. აქედან, გამოცდა წარმატებით ჩააბარა 45 კანდიდატმა.

2013 წელს ორჯერ ჩატარდა მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსი. პირველი აპრილის თვეში, რის შედეგად მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა 1 ახალი მოსამართლე და 5 ყოფილი მოსამართლე ახალი ვადით.

მეორე კონკურსი ჩატარდა სექტემბრის თვეში. შესარჩევი კონკურსის შედეგად, ნოემბრის თვეში მოსამართლის თანამდებობაზე განწესდა 9 ყოფილი მოსამართლე 3 წლის ვადით.

ასევე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამა დაასრულა 24-მა მსმენელმა, რის შედეგად, ნოემბერში მოსამართლის თანამდებობაზე განწესდა 3 მსმენელი 3 წლის ვადით.

IV. დისციპლინური სამართალწარმოება

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. 2012 წლის მარტის ცვლილებამდე მოქმედი კანონით, დისციპლინური სამართალწარმოება იყო კონფიდენციალური და საჩივრის ავტორისათვის უცნობი იყო მისი საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. განხორციელებული ცვლილების შემდგომ, საჩივრის ავტორს ეცნობება როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ასევე სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს წერილობითი მოთხოვნა და კონკრეტულ საქმეზე სასამართლოებში დასრულებულია წარმოება.

აღნიშნულმა მუხლმა ცვლილება კვლავ განიცადა 2013 წლის მაისის თვეში და დისციპლინური საჩივრის ავტორს ეცნობება საჩივრის განხილვის შედეგი, მიუხედავად იმისა მოითხოვს თუ არა უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას. ამდენად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, „საჩივრის ავტორს ეგზავნება, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ასევე სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლოში აღარ მიმდინარეობს იმ საქმის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.“

განმცხადებლისათვის, საჩივრის ავტორისათვის ინფორმაციის მიწოდებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერძოებლობას. შესაბამისად, ინფორმაციის გაცემა უნდა მოხდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, შემოსულ საჩივარზე საჩივრის ავტორს გადაწყვეტილება ეგზავნება მას შემდეგ, რაც საქმის წარმოება

სასამართლოში დასრულებულია, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ინტერესისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების დაბალანსებას.

2. 2013 წლის ცვლილებით შეიცვალა სადისციპლინო კოლეგიის ფორმირების წესი და წევრთა უმრავლესობას მოსამართლეები წარმოადგენენ. სადისციპლინო კოლეგიის 5 წევრიდან 3 წევრი - მოსამართლეა, ხოლო 2 - არამოსამართლე. კოლეგიას თავმჯდომარეობს მოსამართლე წევრი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსამართლე წევრები აირჩევიან მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ნებისმიერი მოსამართლის წარდგინების საფუძველზე, ხოლო არამოსამართლე წევრს ირჩევს პარლამენტი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარდგენილი აკადამიურ მოღვაწეთა ან იურიდიული პრაქტიკის მქონე პირთა წრიდან. სადისციპლინო კოლეგიის წევრი არ შეიძლება იყოს იმავდროულად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, სასამართლოს, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე ან მოადგილე.

3. ამასთან, სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გამოქვეყნება ხდება ოფიციალურ ვებგვერდზე და მისი დამოწმებული ასლების გადაცემა მხარეთათვის ან ნებისმიერ პირთათვის.

2013 წელს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, სათანადო ფორმის დაცვით შემოტანილი იქნა 239 დისციპლინური საჩივარი. ამათგან, რიგი საჩივრების გაერთიანების შედეგად, წარმოებული იქნა 218 დისციპლინური საქმე. 2012 წლიდან 2013 წელს გადმოსული იქნა 54 დისციპლინური საქმე – ანუ, სულ 2013 წელს წარმოებული იქნა 272 დისციპლინური საქმე.

აღნიშნული საჩივრების შესწავლის შედეგად:

1. 4 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეს ჩამოერთვა ახსნა–განმარტება;

2. 52 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეთა მიმართ შეწყდა დისციპლინური დევნა - 19,12%;

3. 7 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლეებს მიემართათ კერძო სარეკომენდაციო ბარათით - 2,57%;

4. 213 დისციპლინურ საქმეზე სამართალწარმოება დასრულებული არ არის - 78,31%.

V. საზოგადოებასთან ურთიერთობა

1. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ გვერდის მეშვეობით ხორციელდება საზოგადოების ინფორმირება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებზე.

2. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი, რაც შესაძლებლობას აძლევს მოქალაქეებს დაუკავშირდნენ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და შემდგომ შესაბამის სასამართლოს მათთვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით;

3. მოქალაქეები სატელეფონო კომუნიკაციის, ელექტრონული სერვისების - ელექტრონული ფოსტა: council@hcoj.gov.ge და skype: [hcoj.gov.ge](https://www.skype.com/join/hcoj.gov.ge) მეშვეობით, ოპერატიულად იღებენ მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციას;

4. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები საჭიროების შემთხვევაში, უშუალოდ ხვდებიან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსულ მოქალაქეებს და დახმარებას უწევენ უფლებამოსილების ფარგლებში;

5. განხორციელდა საქველმოქმედო ღონისძიებები;
6. მომხმარებელთა უკეთ მომსახურების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიხსნა მომსახურების ცენტრი, რაც დამატებით კომფორტს და უკეთეს გარემოს უქმნის მომხმარებელს.
7. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი ჟურნალისტებისათვის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლადარჩეული არამოსამართლე წევრებისათვის. ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა. ტრენინგს საერთო ჯამში დაესწრო მედიის 25 წარმომადგენელი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები.